საქართ. მემარც. სოც.-ფედ. სარევ. პარტია

[illegible]

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთ „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 400,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 20,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან. [illegible]
4 „ 100,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,000,000 მან.
4 „ 1,000,000 „

№ 463 სამშაბათი, მაისის 8 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000

ანონსი

## დიდი ლიტერატურული საღამო

### რუსთველის თეატრში

ოცდა რვა მაისს

**I სიტყვები:**

**პროფესორი შ. ნუცუბიძე:** შპენგლერის მეორე წიგნი.

**კონსტანტინე გამსახურდია:** დ. გურამიშვილი.

**II ლექსები:**

**ანბანზე:** აბაშელი, ვარდოშვილი, ტაბიძე გალაკტიონ, ფაშალიშვილი ს., ჭუმბაძე ა., გამსახურდია კ.

**დეკლამაცია:**

დავითაშვილი გ., ვახაძე აკაკი, ხორავა აკაკი, ჭავჭავაძე თამარ.

**საკონცერტო განყოფილება:**

**კავსაძე, სარაჯიშვილი, შარაშიძე.**

**III ჰუმორი:**

დაიდგმება

## პაროდია მთელ სეზონზე

მონაწილეობენ: აბაშიძე ვახო, არაბიძე ვახო, ვახაძე აკაკი, გოცირიძე ნიკო, ხორავა აკაკი, კორიშელი პლატონ, ქიქოძე ალიხა, ჯავახიშვილი ნ., ჩხეიძე დათ., ყორყელიანი ალექსანდრე, ჭავჭავაძე თამარ, ლამბაშიძე შალვა.

საღამოს თავმჯდომარეობს კოტე მაყაშვილი.

## წითელი არმიის რიგებისაკენ.

უკვე ორი კვირაა, რაც საქართველოში სწარმოებს 1901 წელს დაბადებულთა ჯარში გაწვევა. გაწვევა თითქმის ყველგან წარმატებით მიმდინარეობს. საქართველოს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა არ უყურებს გულგრილად სამხედრო ბეგრის მოხდის საქმეს, სახელმწიფოს წინაშე მოვალეობის პირნათლად შესრულებას.

რაც ჩვენს ქვეყანაში სამხედრო ბეგარა იქნა შემოღებული, მას შემდეგ ჯარში გაწვევას არ მიუღია ისეთი მიმზიდველი ხასიათი, სამხედრო მოვალეობის შესრულების მხურვალე გრძნობის გაღვივებას ახალგაზრდებში, როგორც ამას აქვს ადგილი დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დროს.

რით აიხსნება ეს? უნდა აღინიშნოს, რომ ეს უმთავრესად ორი მიზეზით განიმარტება. უპირველესად ყოვლისა ჯარისკაცობისადმი ახალგაზრდათა მიდრეკილება, ყოველ შემთხვევაში—არა მტრული განწყობილება,—იმით აიხსნება, რომ თანამედროვე ჯარისკაცის მდგომარეობა, მისი უფლებრივი და ცხოვრების ეკონომიური პირობები ძირ-ბუდიანად განსხვავდება ცარიზმის დროის ჯარისკაცის მდგომარეობისაგან. ძველად ჯარისკაცობა დამამცირებელი იყო თავმოყვარე პიროვნებისათვის. ჯარისკაცს არ სთვლიდნენ სახელმწიფოს სრულუფლებიან მოქალაქედ. მთავრობა მას უყურებდა ისე, როგორც ლირსება ახდილ მოქალაქეს.

ამ მხრით დღევანდელ წითელ ჯარსა და ნიკოლოზის შავ ჯარ შუა დიდი განსხვავებაა. წითელი არმიელი არამც თუ უფლება სუბიექტია, ჩამოცილებული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. პირიქით, წითელი ჯარისკაცის მოქალაქეობრივი უფლებები ძლიერ გაფართოებულია. საბჭოთა ჯარისკაცი აქტიური თანამშრომელია სოციალისტურ რესპუბლიკის, მშრომელთა კლასის სახელმწიფოსი, ამავე დროს საგულისხმოა აგრეთვე თანამედროვე ჯარის ეკონომიურ პირობების განსხვავება ძველი არმიის პირობებისაგან.

არის მეორე, უფრო არსებითი ხასიათის მქონე ფაქტორი, გადამწყვეტი მიზეზი, რომელსაც ხელს უწყობს ახალგაზრდობის წითელ არმიის რიგებისაკენ სრბოლას.

ეს ის მიზეზია, ის ძირითადი პირობა, რომლითაც საერთოდ საბჭოთა სისტემა, საბჭოთა ფედერაცია ხასიათდება: ჯარის კლასიური, მუშურ-გლეხური შემადგენლობა და მისი პოლიტიკური შეგნება. საბჭოთა ჯარისკაცმა იცის, რომ ის არ არის ყურმოჭრილი მონა „დიდ-კაცების“, „ამა ქვეყნის ძლიერთა“. ამასთან ერთად წითელი ჯარისათვის სავსებით გასაგებია მისი დიადი დანიშნულება, ისტორიული მოვალეობა. ეს მდგომარეობს წითელი ჯარის მთავარ მოწოდებაში: ბურჟუაზიის, თავად-აზნაურობის და მზგავს პარაზიტების კონტრ-რევოლიუციურ გამოლაშქრებიდან მშრომელთა სახელმწიფოს დაცვაში. თუ წითელ არმიელი ჩამწკრივებულია არმიის რიგში, ეს არის შედეგი არა უხეში ძალდატანების, რეპრესიის, ცეცხლისა და მახვილის არამედ ჯარის კაცის პოლიტიკურ შეგნების, მასში რევოლიუციონური რწმენის საბოლოოდ დასადგურების. რა იყო ძველი რეჟიმის ჯარის კაცის მიზანი?—ბეგარის მოხდა, ანდა—ბეგარის მოხდამდე როგორიმე მახინაციითა და ფანდებით თავის „განთავისუფლება“—დეზერტირობა. სხვა მიზანი, გარკვეული მიზანი მას არ გააჩნდა. მიზანი ჰქონდა მხოლოდ ბიუროკრატიას—მშრომელ მასსაზე ბატონობა. ამის საშუალებად გააჩნდათ ჯარი. ჯარის კაცი იყო ბრმა იარაღი მდიდართა და მტარვალთა შავი სურვილების განხორციელების.

საბჭოთა წეს-წყობილებაში მზგავს მოვლენას არ აქვს ადგილი. წითელი ჯარი არ არის ბრმა, შეუგნებელი იარაღი მისთვის გაუთვალისწინებელ მიზნების სარეალიზაციო. თუ წითელ-არმიელი მიდის ბრძოლის ველისაკენ, სწორედ იმ მოსაზრებით, რომ იგი ემსახურება არა გაბატონებულ კლასების ზრახვებს არამედ იცავს საკუთარ ინტერესებს.

საბჭოთა ხელისუფლება დიდის ყურადღებით ეკიდება წითელი ჯარის გაჯანსაღების საქმეს, ჯარის-კაცის გაწვრთნას პოლიტიკურად, გონებრივად, მორალურად. ეს არ არის შემთხვევითი გავლენა. საბჭოთა ფედერაციის უზარ-მაზარი შენობის საძირკველს წითელი ჯარი წარმოადგენს.

მთელ მსოფლიოში საეჭვოა ისეთი გაწვრთნილი ჯარი არსებობდეს, როგორიცაა რუსეთის წითელი არმია. ამიტომ გულახდილად შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო რევოლიუციის საიმედო მებრძოლი რაზმი წითელი ჯარია. ჩვენი ენერგიაც სწორედ უნდა იქნას წითელი რიგების შევსებისაკენ მიმართული.

ახლანდელმა გაწვევამ მოგვცა საგულისხმო შედეგები. ეს გარემოება იძლევა დიდს იმედებს. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ქვეყნების გამარჯვების საქმე უკვე პრაქტიკულ სიბრტყეზეა დაყენებილი...

წითელი არმიის რიგებისაკენ!—აი ჩვენი ლოზუნგი, რომლის განაღდებას მოითხოვს რევოლიუციის და ჩვენი ქვეყნის სამკვიდრო-სასიცოცხლო ინტერესები.

## [illegible]

ტფილისში ყველა დარწმუნებულია, რომ ბაზარზედ არსებულ ვაკხანალიაში, ა.-კ. ფულის ნიშნების დაცემაში და ვალიუტის გაძვირებაში დიდ როლს თამაშობენ რუსეთის „სახელმწიფო ბანკის განყოფილების ხელმძღვანელი-სპეცები ამაზედ ყველა ლაპარაკობს, მაგრამ საბუთი? . საქმეც იმაში გახლავთ და ერთგვარი „სპეცობაც“ იმაშია, რომ ამის საბუთს ადვილად ვერავინ ჩაიგდებს ხელში. ამ საკითხისათვის წერილი უძღვნია სომხურ გაზეთს „არტაკოჩს“ (ს. კ. პ. ამიერ-კავკ. საოლქო კომიტ. ორგანოა), რომელიც გადმოთარგმნილია გაზ. „მუშაში“ და მოგვყავს ჩვენც უცვლელად:

**ერთგვარი ყაჩაღობა.**

„ისევ ვუბრუნდებით ოქროს აწევის საკითხს და ვეკითხებით, რამ გამოიწვია ოქროს ღირებულების ასეთი ქანაობა „შავი ბირჟის“ მუშაობა ყველამ იცის, მაგრამ, ნუ თუ „შავი ბირჟა“ იმდენად ძლიერია, რომ მის გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია მოვაგვაროთ ფულის ღირებულების საკითხი?

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ, სპეციალისტებზე ნამდვილათ კი მხოლოდ ვაზვიადებთ მათ მნიშვნელობას, ჩვენი იმედები გადაჭარბებულია.

ბურჟუაზიის წრიდან გამოსული პირები მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში შესძლებენ ჩვენს გაგებას, ჩვენი იურიდიული წესების შეთვისებას, ახალი ეკონომიურ პოლიტიკის მნიშვნელობის გათვალისწინებას და ჩვენი ეკონომიურ მდგომარეობის შესაფერ სიმაღლეზე დაყენებას.

ისინი უძლური არიან ამ საკითხში და, შეიძლება, უნებურადაც ქმნიან მძიმე სამეურნეო საფინანსო მდგომარეობას, გვირევენ ჩვენ პრინციპებს და საქმესაც.

უნდა ბოლო მოეღოს იმ არევ-დარევას, რომელიც ხდება ერევნის მოედანზე და სოლოლაკის ქუჩაზე კი არა, არამედ თვით სახელმწიფო ბანკში. უნდა სამუდამოთ მოსპოთ ბირჟის თამაში ბანკში.

ვინ არის ეს ხალხი, რომელიც უკარნახებს ბირჟას თავის ნებისყოფას, რომლებსაც ერთი კაპეიკიც არ გააჩნიათ და მაინც დიდ ქონებას იძენენ, ადიდებენ ოქროს ღირებულებას და ქმნიან მუშებისთვის აუტანელ პირობებს.

იმ დროს, როდესაც სავაჭროების უმეტესი ნაწილი სახელმწიფო დაწესებულებათა ხელშია, ხოლო საზღვარ-გარეთიდან, შედარებით გასულ წლეებთან ნაკლები საქონელი მოდის, ფასები მაინც საშინლად ქანაობს.

ფინანსთა სახ. კომისარიატს შეუძლია ამაზე მოახდინოს დიდი გავლენა. სახელმწიფო დაწესებულებების ყოველი შემოსავალი შეტანილი უნდა იქნეს ბანკში ოქროთი.

რათ ეძლევა კერძო პირებს, ბირჟის არა წევრებს, „ოქროს საყიდლათ“ ბირჟის შემოსვლის უფლება. განა ისინი სახელმწიფო ინტერესებს ემსახურებიან? იმათ მხოლოდ არევ-დარევა შეაქვთ ბირჟაში.

ჩვენ ვიცით რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც ისეთი პირები, რომლებსაც არაფერი არ ქონდათ, დიდ თანხებს აბრუნებენ. იქ იგივე ხდება, რაც თამბაქოს ტრესტში, მაგრამ პაპიროსებისაგან, მთავრობის გარდა არავინ არ ზიანდება, ხოლო ოქროს ვალიუტის საკითხისაგან ზიანდება ყველა. დაბეჯითებით ვიმეორებთ, რომ ვალიუტის საქმე უნდა გამოსწორდეს.

მთავრობის ბირჟას უნდა მიეცეს მისი ნამდვილი სახე. ხოლო ისინი, ვინც თავის ბედნიერებას აშენებენ მუშების გაჭირვებაზე, სასტიკად უნდა დაისაჯონ.

შეუძლებელი არაფერია. საჭიროა მხოლოდ მეტი ყურადღება და შესაფერი სასტიკი ზომების მიღება.“

როგორც ვხედავთ ხსენებული წერილი ბრალსა სდებს პირდაპირ სახელმწიფო ბანკს. ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს მთელ მეთაურს უძღვნის იგივე გაზ. „მუშა“ და ზედდაასკვნის:

„და თუ ეს ასეა, თუ მართლაც ჩვენი „ფასების მალაყია“ სახელმწიფო დაწესებულების წყალობითაა შექმნილი, განა საკითხავია, რომ ამ დაწესებულების ნამდვილი ხელმძღვანელობა ისეთ „სპეცებს“ ჩაუგდიათ ხელში, რომ შეიძლება ჩვენი ყველაზე უფრო საუთოი, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დაწესებულება მთლათ ხრამში გადაჩეხოს და მისი მარცხით მთელ ჩვენ ხელისუფლებასაც გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს.

განა ამის შემდეგ კიდევ საკამათო და საეჭვო უნდა იქნეს, რომ ბურჟუაზიულ კრიმანჭულებში გამოცდილი ხალხის ხელით ჩვენი საქმე არ გაკეთდება?!

ყოველივე ამის წერა, რასაც ჩვენ ვამბობთ და ისიც, რაზედაც „მარტაკოჩი“ ლაპარაკობს თავის ფურცლებზე, ფუჭათ და უქმათ დროს დაკარგვა იქნება, თუ ჩვენ ნათქვამს არ მიექცა მუშათა ფართო წრეების ყურადღება, თუ მუშათა ხელისუფლების ხელმძღვანელმა დაწესებულებებმა და ამხანაგებმა არ ჩაიწერეს ეს საკითხი დღევანდელი დღის წესრიგში.

ამ საკითხს ჩვენ არ უნდა მივცეთ განყენებულ საკამათო საგნის მნიშვნელობა.

რა გზა უნდა ავირჩიოთ ჩვენ?

ამა თუ იმ გადაწყვეტილების გამოტანა პრესის საქმე არაა.

ჩვენ ვუთითებთ საფრთხეზე, ჩვენ მოგვეკითხება ისიც, რომ ჩვენ გამოვსთქვათ და ვუჩვენოთ ჩვენ მკითხველებს ის სწორი ხაზი, რომელიც გამოდგება ამ საკითხის გადასაწყვეტათ. ჩვენც ვამბობთ:

რაც შეიძლება მეტი განტვირთვა იმ „სპეცებიდან“, რომელნიც ჰქმნიან სახელმძღვანელო მიმართულებას ზოგიერთ ჩვენ სახელმწიფო დაწესებულებაში.

რაც შეიძლება მეტი ყურადღება ჩვენ ხელმძღვანელ ამხანაგებისაგან, რომელნიც უდგანან სათავეში ჩვენ სახელმწიფო დაწესებულებათ“.

## უცხოეთის ქართველთათვის

ვინ არიან უცხოეთის ქართველნი? ქართველები სპარსეთისა, ოსმალეთისა და ბოლოს ჩრდილო კავკასიისა. ამ მცირე წერილში ჩვენ არ შევეხებით ზემოხსენებულ ქართველთა მშობლიურ ცის დატოვების და უცხოეთში გადახვეწის, უცხო ცის ქვეშ მოქცევის ისტორიულ მწარე ამბავს. ეს ყოველი მოაზროვნე ქართველისათვის სავსებით ცნობილია. ჩვენ გვაინტერესებს ის კითხვა თუ რა მზრუნველობა მოითხოვს ქართველ ხალხისაგან და რა ესაჭიროება ფიზიკურად მისგან დაშორებულ თანამოძმეთ. უწინარეს ყოვლისა უცხოეთის ქართველებს უნდათ ჩვენთან სულიერ კავშირის გაბმა და ჩვენგან სულიერ საზრდოს მიღება, და ჩვენ ვფიქრობთ პრინციპიალად ზემო აღნიშნულ კითხვის დადებითად გადაჭრა ყველას გაეხარდება-ეამება. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ამ კითხვის რეალ მოგვარება და მისი ცოცხალ საქმედ ქცევა.

შეიძლება ჩვენ გვითხრან, რომ ამ კითხვის რეალიზაციისათვის ლაპარაკი არის „peine veine“ ვინაიდან უცხოეთის ქართველებმა რამდენიმე ას წელთა მანძილზე დენაციონალიზაციის ისეთი გავლენა განიცადეს, რომ მათ რენაციონალიზაციაზე ლაპარაკი არის Bocoup de bruit pour rien“. ამის შესახებ ჩვენ ვიტყოდით, რომ სპარსელ სეიფულა ოისელიანებს და ოსმალეთის ჭყონიებს რენაციონალიზაცია არ ეჭირვებათ. მათი ტკბილი ძველი ქართული ბევრ თანადროულ ამაყ ქართველსაც კი ენატრება.

ისეთ სინამდვილის წინაშეც, რომ ვიდგეთ, რომ ჩვენი სისხლხორცი ძმები მთლად გათქვეფილი იყვნენ უცხო ნაციაში მაშინაც კი არ უნდა დავიხიოთ ჩვენ უკან და ყველა ღონე ვიღონოთ, რომ გადაგვარებულ ძმებს აღუდგინოთ თავისი ეროვნული სახეობა, დღეს ეროვნულ რენესანსის ხანაში ასეთი ოპერაციები ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. ჩეხიის ნაცია ამ სამ ათეულ წლის წინად მთლად გადაგვარდა, მაგრამ ეროვნულ ორგანიზაციების ყოვლის მძლე მოქმედებამ გაგერმანელებული ჩეხი სწრაფ გააჩერა. უცხოეთის ქართველებზე სისტემატიურ მზრუნველობისათვის აუცილებელია დაარსდეს „უცხოეთის ქართველთა საზოგადოება*), რომ-

*) ეს წერილი დაგვიანებით იბეჭდება. ასეთი საზოგადოების დაარსება უკვე დაადგინა კრებამ მაისის ოთხს და არჩეულია საორგანიზაციო კომისიაც. საჭიროა ამ კომისიამ მუშაობა დააჩქაროს. ჩვენც იმ აზრისა ვართ, რომ უნდა დაარსდეს ისეთი საზოგადოება, რომელიც კულტურულ კავშირს დაიჭერს არა მარტო სპარსელ ქართველებთან, არამედ ყველა მათგვარ ქართველებთან.

რედ.

მელიც ისაქმებს უცხოელ ქართველთათვის სულიერ ტრანსპორტის მისაღწევად,—გააბამს მათთან ცოცხალ ურთიერთობის ძაფს და ეცდება რათა განსხეულება მიეცეს უცხოეთის ქართველთა სამშობლოსკენ ლტოლვას რე-მიგრაციას.

ქართველ ნაციის მარადიულობისათვის ასეთი აქტივობა ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია, რადგან სამ მილიონიანი ქართველი ნაცია ვერ უნდა ითმენდეს მის სისხლხორც უცხოეთის ქართველების ასი ათასობით დაღუპვას. ჩვენ უსაზღვროდ გვახარებს საზ. „მუქურა“-ს დაარსება როგორც წავიკითხეთ გაზ. „ტრიბუნა“-ში საზოგადოებას ფრიად სიმპატიური მიზნები აქვს დასახული.

აწ ვინატროთ ამ მეორე ასე რიგადვე სასურველ და საჭირო საზოგადოების დაარსება დაბადება.

ირ.—დი.

# ახალი ამბები

— **მუზეუმის ახალი შემადგენლობა.** არსებულ საქართველოს მუზეუმის საალმშენებლო კომისიის ნაცვლად დაინიშნა ახალი კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე: განათლების კომისარი—ამხ. კანდელაკი, თავმჯდომარის მოადგილე—ნ. ყიფიანი, წევრები: ივ. ჩხიკვიშვილი, ინჟ. სევეროვი, გან. კომ. ფინ. განყ. გამგე: ილ. ჩიქოვანი, კონსულტანტი—ინჟ. ნეპრინცევი. **პენსია**—საქართველოს სახალხო ბანკის საშუალებით გადაიგზავნა ქუთაისის დამსახურებულ საზოგადო მოღვაწეთა შორის დასარიგებლად ადგილობრივ განათლების განყოფილების საშუალებით პენსია 136 მილიონი 300 ათასი მანეთი.

— **ქართული ენა და ისტორია არა ქართულ ტეხნიკუმებში.** სახალხო განათლების კომისარიატს ხელთ აქვს ცნობები იმის შესახებ, რომ ზოგიერთ არა ქართულ ტეხნიკუმებში მოწაფეების მიღების დროს არ უნიშნავენ მათ კოლლოკვიუმებს ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიაში, ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, რომ კურსდამთავრების მოწმობაც კი მიუციათ იმ მოწაფეთათვის, რომელთაც აღნიშნულ საგნებში კოლლოკვიუმები ჩაბარებული არა ჰქონდათ, საქართველოს განათლების კომისარიატმა ერთხელ კიდევ გადუგზავნა სასწრაფო ცირკულიარი ყველა არა ქართულ ტეხნიკუმებს, სადაც კიდევ ერთხელ აგონებს, რომ ქართლი ენა და საქართველოს ისტორია რესპუბლიკაში არსებულ ყველა სასწავლებლებში სავალდებულო საგნებია და იმ მოწაფეს, რომელმაც ეს საგნები არ იცის, გათავების მოწმობა არ უნდა მიეცეს და არც უნდა იქმნეს იგი გადაყვანილი ერთი კლასიდან მეორეში, მხოლდ პედაგოგიურ საბჭოს უფლება აქვს მიღების დროს იმ მოწაფეებს, რომლებიც სხვა მეზობელ რესპუბლიკებიდან გადმოდიან მისცეს ერთგვარი შეღავათი! მიიღოს ასეთი მოწაფე პირობით და დაუნიშნოს ვადა კოლლოკვიუმების ჩასაბარებლად უკეთუ ამ ვადის განმავლობაში მოწაფემ ხსენებულ საგნებში კოლლოკვიუმები ვერ ჩააბარა, ის ვალდებული იქნება დასტოვოს სასწავლებელი.

**ფოსტა-ტელეგრაფის ახალი ნიხრი.** პირველ მაისიდან ფოსტა-ტელეგრაფის ნიხრი შეცვლილია შემდეგ ნაირათ: ადგილობრივი წერილები—20 ათასი მანეთი, საზღვარ-გარეთელი წერილები—75 ათასი, ფოსტ. სურათები—50 ათასი, დაზღვეული წერილები—150 ათასი, დეპეშები: ადგილობრივი სიტყვა—25 ათასი, საზღვარგარეთელი 65 ათასი, სასწრაფო—195 ათასი მანეთ.

— **დეპეშები ოსმალეთში**—2 მაისიდან მოეწყო მთავრობის და კერძო დეპეშების მიღება ოსმალეთში ტფილისის და ანგორის ხაზზე. ფასი—67 სანტიმი სიტყვაზე, დეპეშების შინაარსი შეიძლება იყოს რუსულ, ოსმალურ, ინგლისურ, ფრანგულ და იტალიურ ენებზე.

— **აბრეშუმის ფაბრიკა.** ცეკავშირმა ქ. მოსკოვში შეიძინა საქსოვი ფაბრიკისათვის საჭირო საგნები და ახლო ხანში შეუდგება მის მოწყობას. როგორც ირკვევა ადგილობრივ არ მოიპოვება ფაბრიკისთვის საჭირო დახელოვნებული მუშები—ამის გამო ცეკავშირის გამგეობამ დაადგინა მოიწვიოს ასეთი მუშები სხვა ქვეყნებიდან, რის შემდეგ ფაბრიკა დაიწყებს მუშაობას.

— **დახმარება ინვალიდებს.** ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა 10.000.000 მანეთი გადასდო დამშეულთა მთავარი კომიტეტის განკარგულებაში ინვალიდების დასახმარებლათ.

— **საბინაო ტარიფი.** დამტკიცდა და 1 მაისიდან შევიდა ძალაში საბინაო ახალი ტარიფი. ტარიფი დაყოფილია 22 კატეგორიათ. პირველი კატეგორია იხდის 0,3 კაპ. ქალაქის ცენტრ. მდებარეობის მიხედვით, ხოლო განაპირა უბნები—0,2 კაპ. უკანასკნელი კატეგორია ცენტრში—15 კაპ. მან. უბნები—8 კაპ. ყოველ კვადრატიულ არშინზე.

— **ბირჟა.** ოფიციალური კურსი. 7 მაისი.—რუსის ოქრო თუმნიანი—14,900 ათასი მანეთი, ჩერვონეცი—8,375; გირვანქა სტერლინგი ეფექტიკი—9.050 ათასი, ჩეკი—7.900 ათ.; დოლარი ეფექტიკი—2,050 ათასი, ჩეკი—1,850 ათასი; ოსმალური ქაღალდის ლირა—1,350 ათასი მანეთი; იტალიური ლირა—88 ათასი, ფრანკი—115 ათასი და სხვა. ნატეხი ოქრო 96 პრობისა მისხალი ღირს—3 მანეთი 60 კაპ., 56 პრობის—1 მანეთი 80 კაპეიკი; ვერცხლის ნატეხი 84 პრობის მისხალი—7 კაპეიკი, 1 მანეთი ბანკის ვერცხლის—46 კაპ.

— **წყალდიდობა ქართლში.** დიდი წვიმების გამო მდინარე მტკვარი არა ჩვეულებრივად ადიდდა. წაღებულია მრავალი ბაღები ბორჯომში. ხოლო ქართლის ველზე ხაშურიდან—გორამდე მდინარის ნაპირების პურის ყანები სრულიად დაფარულია წყლით და დასილულია ნათესები. მომავალი მოსავლის ზარალი საგრძნობია. რკინისგზის ხიდები არაა დაზიანებული.

# საქართველოს წითელ ჯარში

**ქართულ წითელ ჯარის ახალგაზრდათა გაწვევის ცნობები.**

**შორაპნის მაზრაში.** სამობილიზაციო პუნქტში გამოცხადდა 780 ახლად გაწვეული. მიღებულია 277. გამოგზავნილია—154.

ბორჩალოს მაზრაში გაწვევა დამთავრებულია. აკლია მხოლოდ 17.

**ქვემო—ოხეთის** სამობილიზაციო პუნქტში გამოცხადდა სულ 449, მიღებულია 204 განთავისუფლებულია 245, გამოგზავნილია 190.

**თელავის მაზრაში.** გაწვევა ბრწყინვალეთ სწარმოებს. გამოცხადდა—187, მიღებულია—105, დაგზავნილია—107. უნდა გამოცხადდეს—219.

**ახალქალაქის მაზრაში.** სამობილიზაციო პუნქტში ცხადდებიან დიდი ენტუზიაზმით. სულ გამოცხადდა—572, მიღებულია—234. მაზრაში გაწვევა დამთავრებულათ ითვლება.

**ახალსენაკის მაზრაში.** მობილიზაცია დამთავრებულია. სულ გამოცხადდა—1105, მიღებულია—519, გაგზავნილია—459, დანარჩენი განთავისუფლებულია.

**ოზურგეთის მაზრაში.** მრავალი მოხალისე ცხადდება, მაგრამ ჭარ ილებენ, ვინაიდგან ჯარის ნაწილები შევსებულია ახლა[...]

და—1105, მიღებულია—[...]519, [...] ნაწილებ-

ში—439.

**ბათომის ოლქში.** იარაღის ხმარების მცოდნე გამოცხადდა—92, მიღებულია—63, გაგზავნილია ჯარის ნაწილებში—44, იარაღის არა მცოდნე გამოცხადდა—17.

**ლეჩხუმის მაზრაში.** გამოცხადდა—25, საერთოდ გაწვევა კარგათ მიმდინარეობს.

**რაჭის მაზრაში.** გამოსაცხადებელია—252, გამოცხადდა—99, მიღებულია—54, დროებითი შეღავათი მისცეს—31, განთავისუფლებულია—14.

**ქუთაისის მაზრაში.** გაწვევა უკეთ მიმდინარეობს. გასაწვევია 750. სამი დღის განმავლობაში მიღებულია 219, დამატებითი 266.

**დუშეთის მაზრაში.** გაწვევა დიდი ენტუზიაზმით სწარმოებს. დამატებითი ცნობები გამოგზავნება.

**სიღნაღის მაზრაში.** სამობილიზაციო პუნქტში მრავალი მოხალისე გამოცხადდა. დეზერტირების შემთხვევა სულ არ არის.

აღნიშნული ცნობები ეხება გაწვევის პირველ სამ დღეს. დამატებითი ცნობები მიღებულ იქნება შემდეგ.

# მუშათა ცხოვრება

**საქართველოს პროფსაბჭოს** ზოგიერთ განყოფილების მუშაობის სისტემის გამო, დადგენილ იქმნა ყოველ განყოფილებაში შეიქმნეს კოლეგია.

— **აჭარისტანის მე-III ყრილობის** დადგენილებისამებრ, რომელიც დაამტკიცა საქ. პროფსაბჭომ, აუცილებელ საჭიროებად იქმნა ცნობილი, ქობულეთში გამწესდეს საქ. პროფკავშირთა საბჭოს რწმუნებული ქობულეთის ადგილობრივ კავშირის ხარჯით.

— **საზოგადო-სამოქალაქო გადასახადთა** გამწერ კომისიაში საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მხრით დელეგატებათ აირჩენ: I საგადასახადო ნაწილში ამხ. მურშჩიევი, II-ში—ამხ. გულნიცკი.

— **საქ. საექ. სახანიტარო კავშირის** წევრთა შორის პროფპროპაგანდის შესახებ საორგანიზაციო განყოფილების მიერ გასულ თვეში გაწეული მუშაობა დაკმაყოფილებულად იქმნა აღიარებული. წინადადება მიეცა, დიდი ყურადღება მიაქციოს ადგილობრივ განყოფილებათა შორის კავშირი.

— **კულტგანყოფილების მუშაობა** მარტის თვეში დამაკმაყოფილებლათ იქმნა ცნობილი. ამასთანავე წინადადება მიეცა, უფრო ცხოველი კავშირი გააბან ადგილობრივ წრეთა შორის.

— **კავკასიის პროფკავშირთა ყრილობისათვის,** რომელიც მაისის 20 უნდა შესდგეს, მხედველობაში და სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქმნეს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ცირკულიარი, საორგანიზაციო განყოფილების გეგმა დამტკიცდეს, ამასთანავე ორ განყოფილებას წინადადება მიეცეს, გამოიწვიოს გამგეობის პასუხისმგებელი მუშაკნი და ხსენებულ ყრილობის დელეგატთა არჩევნები მუყაითად (დამკვრელ წესით) ჩაატარო[...]

— **შესასვენებელ სახლთა** და „არაზინდოს" სანატორიების აღშენების შესახებ, საქ. პროფკავშირთა საბჭოს ცირკულიარის თანახმად, წინადადება მიეცეს ორგგანყოფილებას პროფკავშირთა დელეგატების საარჩევნო კომპანიასთან ერთად, ამ საგნის შესახებ კამპანია ჩაატაროს, ამასთან საზოგადო კრებებზე გადაწყვეტილ იქმნეს, ამ მიზნისთვის ერთი დღის ნამუშევარი გადასდონ.

— **როტის ფელშერთა** უფლების შესახებ წინადადება მიეცა კულტგანყოფილებას გამოარკვიოს ეს საკითხი.

— **ინდივიდუალურ საწევრო გადასახად**[...] ჯერ-ჯერობით გადირიცხნენ მოსამსახურენი ქვემო ხსენებულ დაწესებულებათა. 1, 2 და 3 საქალაქო საავადმყოფოსი, ფარმგანყოფილების, მთავარ საავთიაქო საწყობის და აგრეთვე ყველა სამხედრო დაწესებულებათა (მაისის 1 დან).

— **უმუშევართა დახმარების** აღმოსაჩენა[...] ცეკას და შრომბირჟის წარმომადგენელთაგან შემდგარი კომისია პროფკავშირთა საბჭომ დაამტკიც[...] კომისიას წინადადება მიეცა, შეადგინოს გაჭირვებულ უმუშევართა სია გაცემულ შესაწევარის ა[...]

# თამარ მეფის მეხოტბენი

(გაგრძელება *)

ძალმომრეებმა საქართველოში ვერ მონახეს თავის დედოფლისთვის სახამსო გმირი, თუმცა შეუძლებელია მათ არ სცოდნოდათ, რომ ასეთ გმირად ეს დედოფალი დიდიხნითგანვე უკვე სთვლიდა დავითს და მისთვის მხოლოდ, როგორც ვთქვით, „იმარხავდა თავს“. მის სახამსო გმირი ჯერ არც დაუბადებიაო ღმერთს და არც დაბადებად არსო, სვიაჯიდან—კი მოიყვანეს ვილაც ექსორია ქმნილ—დევნილი! მაგრამ მწარედ მოსტყუვდნენ.

თამარმა ქორწინების უმალვე რუსი წარგზავნა სალაშქროდ. და „არა მრავლისა ჟამისა შემდგომად“ მიიღეს აღსასრული თამარის სიტყვათა. რუსს შემოჰხვდა უცხო რამე და უმსგავსი. საქმე შეუმსგავსებელი, დაუჯერებელი კაცია გონებისაგან. შევიდა სატანა გულსა სვეუბედურისა, სკუით-რამე სახელდებულისა, ბარბაროზებრივთა გონებათა და გულის-სიტყვათა უწესოება: რამეთუ სიმთვრალეთა შინა იწყო მრავალთა საძაგელთა და უშვერთა საქმეთა ქმონად..სოდომურიცა ქცევა მოიპოვა... შერაცხილნიცა კაცნი უბრალოდ კვებნა და ასოთა ამოგდებითა ტანჯნა“ (ქ. ცხ. 288.

ადვილი წარმოსადგენია, რა ყოფაში ჩაცვიოდნენ ყველა ამის მხილველი ძალმომრეები, თუ მათ აიდევ შერჩენოდათ რამე ადამიანურობისა!

ზნეობრივი გამარჯვება თამარისა და მის მომხრეებისა იყო სრული. რუსი გააგდო თამარმა და მისი მომწვევი დიდებულებიც პატრიაქითურთ დაამხო და მათნი თანამდებობანი მიუბოძა უნიჭიერეს და თავის ერთგულ კაცებს, თან თავის ქმრად მოიწვია თვისი მიჯნური დავითი (1189წ.), ის, რომლისთვის თავს იმარხავდა.

ამის შემდეგ ერთხელ კიდევ იფეთქეს თამარ-დავითის მტრებმა: სპარსელებთან ერთად გაგდებულ რუსის მოწვევით თამარს აუჯანყეს ნაწილი ქართველობისა, მაგრამ ახლაც მეფის სიმართლემ გაიმარჯვა. ამის შესახებ ჩახრუხაძე გვაუწყებს (ხანები 43—44):

„ამან (გაგდებულ რუსმა) თავი რად იმართლა, ზავი რად შექმნა ლეილის (თამარის) მემუდარა შენ ანუ სამონოდ მოგმართა ძლევად? წყალთა არსთასა ძალთა სპარსთასა უძლოდ ვიტყვიან, არ შეუძლევად! ხაფად დაგესენ, ქმრად რამე გესხენ. აწ ძვალთა მათთა დაჰხდეს რა რყევად!? ლომთა (ქართველთ) თავადად თქმული ავადად სხვაცა ვინმე სჩანს,—ხართ („ძლიად) ნამარხევად“.

ჩანს, დიდებულები დავით სოსლანს სთვლიდნენ „ავადად“, ს. ი. ავადმყოფ, გამოუსადეგარ კაცად, მაგრამ სწორეთ ამ „ავადად თქმულმა“ დაამხო მოწინააღმდეგენი რუსითა და სპარსელებითურთ და მხოლოდ მის შერთვის შემდეგ თამარის-მიერ ცხოვრება დამყუდროვდა და საქართველოც დაადგა უაღრეს დიდებისა და განვითარებისა გზას.

ყველა ამის მხილველ მწერლებმაც მომართეს ქნარი დიდებად თამარისა, რომლის ბრძნული არჩევანი დავითის სახით მალამოდ დაედო სამშობლო მხარეს.

შავთელმა თავის თხზულება დაიწყო სიტყვებით (ხ. 1): „დავითის **დავით** (სიგულისხმება ის დავმ-დარაბა, რომელიც ასტყდა დავით სოსლანის გარშემო მის არჩევის გამო თამარის-მიერ ვჯდე მუსიკობად. მე, სმა ზევსური რა ვნახე, ვსური, რომ სიტყვა მეთხვანეს მეფისა ძნობად“. შავთელს მიჰბაძეს სხვა მწერლებმაც და შეუდგნენ თამარის ხოტბას.

ამ საზოგადო განხილვიდან გადავდივართ თამარ-დავითის მეხოტბეების თხზულებების კერძო ჩხრეკა-ძიებაზე.

**იოანე შავთელი.**

შოთას 1576 ხანას მიხედვით შავთელის გმირს რქმევია „აბდულ-მესია“, რომელიც პლ. იოსელიანის თარგმნით ნიშნავს „მინა მერიისა“. და შავთელის თხზულების განხილვაც საკმაოა, რათა დარწმუნდეს მკითხველი, რომ თამარის მიერ მეფედ მოწვეულ დავითს ტყუილად არ ერქვა ასეთი სახელი:—მონა ღვთისა. ჰას ვერ სწორავდნენო მსოფლიოს უდიდესი გმირები. ეს ასეა, ხოლო ჩვენ გვრჩება აქ გავაცნოთ საზოგადოებას ის „საბუთები“, რომელსაც ებღაუჭებიან ზოგიერთნი, რომ დაამტკიცონ, ვითომ შავთელი აქებდეს არა დავით—თამარს, არამედ მხოლოდ დავით აღმაშენებელს და საკვირველი ის არის, რომ ამავე „საბუთებს“ ეყრდნობიან თურმე ზოგიერთი მასწავლებელნიც და „აბდულ-მესიანს“ სკოლებში ასწავლიან როგორც ხოტბას აღმაშენებლისას და არა თამარ-დავითისას.

მომყავს ეს „საბუთები“ ისე, როგორც ნ. მარრის წიგნშია („Древне-груз. одописцы“).

1. თამარი გვხვდება აბდულ-მესიანის ხანებში 2,11,53, მაგრამ შეიძლება ყველგან თამარი შევცვალოთ დავითით აღმაშენებლით), თვით პლ. იოსელიანის 1838 წლ. გამოცემაში თამარის მაგიერ დავითია ხანებში 2,11 („Древн. груз. одоп.“) გვ. 81.

არ ვიცით, პლ. იოსელიანის 1838 წლ. გამოცემა რა საბუთით, რომ მე-2 ხანაში თამარის მაგიერ ჩავსოთ დავითი, როდესაც ამ მეორე ხანაში მოხსენებული გმირი მესამეში შემკობილია ქალთა ეპიტეტით **ეთერი,** რომელიც ამასთანავე მიჩნეულია იმავე თამარის განსაკუთრებულ თვისებად შეად.:

**შავთ.** 2—3: „ეთერ ბრწყინვალე მზეებრ სადარი“

„**თამარ**“. 16: „ელვა-ეთერი“, 21: თამარ ელვა-ეთერი“, 37: „ეთერსა ელვათა სრევად“, 42: „იყო ეთერი, მაგრა ეთერი არა ჰყვა მასცა სულ ნახუთევად“.

**ქცხ.** 276: „თამარ პირი იგი ეთეროვანი და უკიმირო ჰაერი და უმრუშო ნათელი“.

**შოთაც** თინათინს ადარებს მზესა და ეთერს, ამბობს (ხ. 283): აწ გამომგზავნა (თინათინმა), რომელსა ვერც მზე ჰგავს, ვერ ეთერია“. ნესტან-დარეჯანიც იგივეა: ხ. 404: „ჩამად ჩნდა იგი ხინათლე ეთერით მზათ ნაქინისა“.

2. ძე ჩვეულებრივ ნიშნავს ვაჟს. მხოლოდ ამ სიტყვის ხმარებას იშვიათ გამონაკლისს ქალის მნიშვნელობით მე ვიცნობ ჩახრუხაძეში და რუსთაველშიაც (ხ. 36), კიდევ 118 ხანაში, მაგრამ ეს ხანა ყალბად სჩანს. შესხმის პირი ყველგან (3,47) იხსენიება ძედ და არც ერთგან ასულად (იქვე 9 და შენიშვნა 1).

ამის მაუწყებელბს ქ. ცხოვრებაში ვერ მოუნახავს ის 306 კაბადონი, სადაც სიტყვებია: „ახლისა დავითისთვის და გიორგის ძისა თამარისთვის“, ვერც ის 349 გვერდი, სადაც სწერია: „რუსუდან ძე თამარ მეფეთ-მეფისა“, გინა 338, სადაც მოხსენებულნია თარის „ძენი“ გიორგი და რუსუდან.

ასევე შოთაც თინათინს ზედ იხსენიებს ხანებში 33,36, ხოლო ნ. დარეჯანს აცხადებს საძეო ქალად (ხ. 498), ე. ი. იმისთანად, რომელიც მამის გარდაცვლების შემდეგ უნდა დარჩეს მის მემკვიდრედ, სწორეთ ისეთად, როგორიც იყო გიორგი III-ესთვის მისი „ძე თამარი“.

ამავე მნიშვნელობითა და აზრით ძე ნახმარია შავთელშიაც (ხ. 47): „მამის ძედ არი სამგზის ნეტარი“. აქ რომ „მამად“ ყოფილიყო გიორგი II და „ძედ“ დავით აღმაშენებელი, რა აზრი ექნებოდა სიტყვებს: „მამის ძედ არი“? არავითარი, ვინაიდგან ყოველი ძე ძეა მამისა! მაგრამ ეგების აღმაშენებლის მამა იყო ფრიად გამოჩენილი მეფე და მისმა ძემაც თავის გმირობით გაამართლა მისი ეგეთი ჩინებულება? პირიქით, ამ გიორგი II-ზე სუსტი მეფე მე-XI საუკუნეში არც ერთი არ იყო და მან თავის უთაურობით კინაღამ არ დაღუპა საქართველო, მაშასადამე, არც ამისთანა მოსაზრებით შეიძლება გავამართლოთ შავთელის „მამის ძეობა“, თუ ეს მივაწერეთ არა თამარს, არამედ აღმაშენებელ[...] მაგრამ „აბდულ-მესიანის“ ნუსხა № 656 ერთგ[...] (ხ. 9) ასულადაც იხსენიებს თავის გმირს, ამბობ[...] „მხნეთ ხარ ასული, მჭვრეტელთაც სული“.

3. მხოლოდ ვიცნობთ—რა „ოდის“ გმირად დავით აღმაშენებელს, შეგვიძლია გ[...]ვიგოთ პოეტის შაირის 98 ხანა, სადაც ნა[...]ქვამია, რომ გმირს შეეწევა (поддерживает) დიმიტრი. პოეტი, ცხადია, მიგვითითებს შემწეობაზე, რომელსაც დ. აღმაშენებელ[...] ჰპოებდა თავის შვილ დიმიტრის მხრივ (იქვე, 33).

სწორეთ ამ 98 ხანაში-კი შავთელი იგულისხმებს არა დიმიტრი I-ელს, არამედ თამარის მამ[...] გიორგის ძმის წულს დემეტრეს. პოეტი იმ 98 ხან[...]ში გამოსთქვამს არა შემწეობასა თუ დახმარებ[...] არამედ წინააღმდეგობასა და ურჩობას. სწერ[...] 98. „ნესტორად გგლეობ არა თუ ლეობ დიმიტრ[...] მიერ ძალ-შეზღუდულად! აწე რისხვითა აწ ე[...] სხვითა გზით წარუვლინოს უკუნ-საქცევლად“.

ცხადია, აქ იგულისხმება დემეტრეს ამბოხ[...] წინააღმდეგ გიორგი III-ისა.

4. უფროსად არა ბუნებრივია თამარ[...] მივაკუთნოთ ხანა 63 ხარ. „მამა ობოლთ[...] მსაჯული ქვრივთა“ (იქვე 9).

პირიქით, ფრიად ბუნებრივია, ვინაიდგან თუ თამარი იყო მეფე, მამაც იქნებოდა ერისა. ესევე ეს მემატიანის განჭვრეტითაც, რომელიც სწორე[...] თამარს ათქმევინებს ამავე სიტყვებს: „მე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქვრივთა“ (ქ. ცხ. 312).

5. არა თუ მარტო ღონითა და ვაჟკაცობით დარებულია შექებული პირი სამსონთან (46), ნებროთთან (იქვე), ხან მოსიმახოთან (32) ან ზევზსთან (!) გინა როსტომთან (31), არამედ სილამაზითა და წარმოსადგენობით მგოსანი შეუდარებს მას იოსებს (46,48) წარმომადგენელს მამრი სილამაზისა და არა რომელიმე კეკლუც ქალისა. ამიტომ არა რჩება არავითარი ეჭვი, რომ შესხმის საგანში დავინახოთ თამარ მეფე (იქვე, გვ. 9).

სწორეთ ხსენებულ ხანებში შავთელი გულისხმობს არა თამარს, არამედ მის ქმარს დავით სოსლანს, რომელიც დასახელებულ გმირებივით დიდებული იყო. შეად.:

შავთ. 46: „სჯობს ნებროთს გულად“—ჩახრ[...] 93: დავით სოსლანი „ნებროთს სჯობს ძალად“.

შავთ. 46: „იოსებს თვალად სჯობს“. აქ და კიდევ 48 ხანაში იგულისხმება სოსლანი. ამ ხანაში ჯერ თამარის სილამაზეზეა ლაპარაკი და მერე სიტყვებია: „მან (თამარმა) იოსებსა, (რომ) არ[...]

*) იხ. „ტრიბუნა“ №462.

ნიშვნით (საქონლის მანეთობით) და წარედგინოს სამდივნოს დასამტკიცებლად.

— **პროფკავშირის საკბილექიმო** დახმარებისათვის, ვინაიდან კბილის ექიმთა კაბინეთები მცირეა და პროფკავშირთა წევრებს დრო არა აქვთ ამბულატორიებში იარონ, ეთხოვოს სამკურნალო ქვე-განყოფილებას, ნკზ დასაზღვევთა შემწეობისათვის გალებულ იქმნეს ერთი საკბილექიმო კაბინეთი პროფსაბჭოსთან პროფესიონალურ მოსამსახურეთა დახმარების აღმოსაჩენად. სადაც ჯერ არის შუამდგომლობა აღიძრას, ამ მიზნისთვის ერთი ოთახი დაეთმოს.

— **ბავშობისა და დედობის** სახლის კულტ-განყოფილებას წინადადება მიეცა, გააძლიეროს კულტურული მუშაობა ხსენებულ სახლში, ერთი ოთახი სამკითხველოდ მოაწყოს, ძუძუთა მაწოვართ არ შეუძლიანთ ძუძუთა ბავშების მიტოვება და სხ.

— **სახწორთა რევიზორი** პროცენკო, პროფსაბჭოს დადგენილებით, გამოირიცხოს კავშირიდან და სამუშაოდანაც მოიხსნას, ვითარცა რევტრიბუნალის მიერ სისხლის დანაშაულის გამო დასჯილი.

— **სათეატრო ბილეთების** მუშათა შორის წესიერად გასანაწილებლათ წინადადება მიეცეს კულტგანყოფილებას ბილეთები გაანაწილონ განსაკუთრებით მცირე ჯამაგირიან მუშათა შორის წინასწარ შედგენილ სიების მიხედვით.

— **ბათუმის კონდუქტორთა** საერთო თხოვნის გამო სამორიგეო შესასვენებელ ოთახის შესახებ, პროფსაბჭომ დაადგინა, სარკპროფკავშირს ეთხოვოს, წინადადება მისცეს ბათუმის ნაწილს, არსებული ოთახი შეაკეთონ მიმოსვლელ კონდუქტორთა შესასვენებლად.

# სიტყვა თქვენ გეკუთვნით

5 მაისს დაიწყო სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა აღწერა საქართველოში, აჭარაში და აფხაზეთში. აღწერა ეხებათ ყველა დაწესებულებათ განურჩევლად მათი სიდიდისა.

ამ აღწერამ უნდა მოგვცეს გარკვეული სურათი ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობის მდგომარეობის. ჩვენ უნდა გავიგოთ, რა პირობებში მიმდინარეობს ჩვენი სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრება, რა ახასიათებს მას და რა ძალისაა იგი. რა მდგომარეობაშია მათი მანქანები და იარაღები. რამდენი ხალხია ჩაბმული მასში, სქესის და ჰასიკის მიხედვით ჩვენ უნდა გავიგოთ თუ მოსახლეობის რა ნაწილია ჩაბმული მრეწველობაში და ვაჭრობაში; რა უფრო ძალიან არის განვითარებული, ვაჭრობა თუ მრეწველობა; ვაჭრობის და მრეწველობის რა სახე ვითარდება ჩვენში. რამდენათ არის დატვირთული გადასახადებით და ხარკებით ჩვენი სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი.

ყველა ამის გაგება ესაჭიროება სახელმწიფოს, რომ მით უფრო საზრიანად და საქმის ცოდნით მიუდგეს ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრების აღორძინება-განვითარების და დახმარების საქმეს. ცუდია ის მეურნე, რომელმაც ნათლად და გარკვევით არ იცის, თუ სად რა აქვს, რა მდგომარეობაში და რას საჭიროებს მისი მეურნეობა.

ესევე უნდა ითქვას სახელმწიფოზე—იგი არის მთელი ქვეყნის დიდი მეურნეობა.

გაურკვეველი და ბუნდოვანი გზით—კი არ უნდა მივდიოდეთ, არამედ ნათლად და გარკვევით უნდა ვხედავდეთ, რაც ჩვენს გარეშემო ხდება და ჩვენი მეურნეობის გეგმაც იმის მიხედვით უნდა შევადგინოთ, რაც ძალა, შესაძლებლობა და სახსარი მოგვეპოვება.

აი რისთვის გადასწყვიტა სახელმწიფომ აღწერის მოხდენა და გამორკვევა ჩვენი მრეწველობის თუ აღებმიცემობის. მხოლოდ ასეთი მოულოდნელი, მოსაზრებული და სწრაფის საშუალებით არის შესაძლებელი საჭირო მასალის მიღება.

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, ასეთი მუშაობა, ასეთი აღწერები ხშირია და ხალხისთვის არა სასურველი მოვლენა როდია. არა, იქ დიდი ხანია რაც ასეთ აღწერებს ისე აღარ უყურებენ, როგორც სახელმწიფოს მიერ თავის მობეზრებას. ასეთი აღწერები იქ უფრო დაწვრილებით ხდება, ვიდრე ჩვენში. მოსახლეობა სიამოვნებით ხვდება იქ ასეთ აღწერებს, რადგან თვითეულმა იქაურმა მეურნემ კარგათ იცის, რომ მისი კეთილდღეობა მთელი ქვეყნის კეთილდღეობასთან არის დაკავშირებული და ამიტომ საჭიროა დაეხმაროს სახელმწიფოს თავის ქვეყნის შესწავლის საქმეში. ხომ არ შეიძლება სახელმწიფოს მოვთხოვოთ მფარველობა, დაცვა, მატერიალური დახმარება, შემცირება გადასახადების და ხარკების, თუ სახელმწიფომ საკმარისად და სინამდვილით არ იცის თავისი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების პირობები და საჭიროებანი.

ასეთ მუშაობას აღწერებს არ აწარმოებდა „ჩვენი“ მეფის მთავრობა, რადგან მას არ სურდა გამოემზევებინა თავის წყობილების მთელი სიმყაყე, მას არ სურდა ხალხის კრიტიკა თავის დაწესებულებათა, მისი მმართველობის, მისი დაბეგვრის—თავის უამრავ აგენტების შესანახად.

საბჭოთა მთავრობა კი—პირიქით, ყველა თავის დაწყებულებათ და მიღებულ ზომებს ხალხის ფართო წრეების კრიტიკის და მსჯელობის საგნად ხდის, მას არ ეშინიან ხალხის ცნობიერების, რადგან რამდენათაც ხალხი მეტად არის გაცნობილი საქმეს, დარწმუნებულია მის დაწყობილებათა სისწორეში და სამართლიანობაში, იმდენად მათი გამარჯვება უზრუნველყოფილია.

ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს, შედეგები, საჭირო არ არის დავხუჭოთ თვალი ჩვენ სინამდვილეზე, ჩვენს ნამდვილ ცხოვრებაში.

ვაჭრებს, ხელოსნებს და მრეწველებს როდესაც ეკითხებიან მათ საქმეზე, გაჭირვებაზე და გადასახადებზე, უპირველესად ჰგონია, რომ რაღაც ცუდი რამ არის მოსალოდნელი, რომ მთავრობას სურს შემოიღოს ახალი გადასახადები, გაადიდოს ძველები.

ასეთი ფიქრი, ნიშნავს იმას, რომ თავისივე ხელით მიიყენო ზარალი.

იმათ ნუჰგონიათ, რომ თავის ყალბი ჩვენებით ვისმეს მოატყუებენ პირიქით ყალბი ცნობები ყველასათვის შესამჩნევი ნათელი ხდება, და მაშინ თავისი აზრის ქონა არის საჭირო, მაშინ უწყებისთვის აუცილებელია ფიქრი და მოსაზრება, თუ ცნობები რამდენად სწორეთ არ არის და რამდენათ უნდა იქმნას იგი გადიდებული „ტყუილის გამო“. ეს ხომ თვით მოსახლეობის მისი სავაჭრო-სამრეწველო ინტერესებს არ შეადგენს.

ტყუილ ცნობებზე ვერ ააგებ სწორ წყობილებას და ისევე ვერ შექმნი საღ მეურნეობას, როგორც ქვიშაზე ვერ ააშენებ მკვიდრ შენობას.

**მთელი ნდობა, მთელი სიმართლე. თანაგრძნობა და დახმარება.** მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება მივიღოთ სწორი სურათი ჩვენი ცხოვრების, ჩვენ საჭიროებათა.

მხოლოდ ამ პირობებში შეიძლებ ლაპარაკი გონიერ და ხალხისთვის თუ ქვეყნისთვის სასარგებლო სახელმწიფო საქმიანობაზე.

გარეშე სწორის აღრიცხვის ვერ შეიცნობ სინამდვილეს, გარეშე სინამდვილისა მეურნეობაში ვერაფერ საღს ვერ შეჰქმნით.

**გრიგორიანი.**

## გაფრენილ ქალწულს

**ვავა ფაჩნაძეს.**

შენ მოგელოდა ბევრი ვარდები
და სიზმარივით გზაზე დაეცი.
ასე აპრილის მკრთალი ავდრებით
გვიახლოვდება ჩუმი დაისი.

ალბათ გგონია, რომ ხარ სცენაზე
თეთრი პრინცესსა ბავშვის თვალებით
და ფერწასული დღის გაფრენაზე
შენ იღიმები იდუმალებით.

გარდაიცვალა შენი ოცნება
მოლანდებული ასე ცისფერათ
და მწუხარებით შეიმოსება
მკრთალი მირაჟი და ბედისწერა.

დღეს ქალწულები, როგორც გედები,
სტირიან ისევ და სიზმარს სთოვენ...
შენ მოგელოდა სხვა იმედები,—
ისურვე ლამე და სიმარტოვე...

**გობრონ აგარელი.**

## პროვინციაში

**ბათომი.** ადგილობრივ პრესაში გრძელდება მენშევიკურ პარტიის ძველ წევრთა განცხადების ბეჭდვა. მენშევიკები სტოვებენ პარტიას და სრულ ნდობას უცხადებენ საბჭოთა ხელისუფლებას.

— აჭარის სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა პროექტი სისხლის აღების ნაცვლად ... [illegible] ... ბის მოსპობის შესახებ. უკვე შედგა ცენტრალური კომისია მოსისხლეთა შერიგებისათვის.

— შრომის განყოფილებამ დაიწყო უმუშევართა ჩაწერა. უმუშევარნი გაიგზავნებიან ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის შტოზე სამუშაოდ.

— მაისის 12-ს იდღესასწაულებენ აჭარის გასაბჭოების წლის თავს. პროფკავშირების საბჭო აწყობს პროფმოძრაობის გამოფენას, დაზღვევის კომიტეტი მოაწყობს სახლს მწვანე კუნძულზე. კომუნალურ მეურნეობის მიერ გადადებულია 150 მილ. მანეთი ოლიმპიადის მოსაწყობად.

— ნავთსადგურს მოადგა გერმანული ორთქლმავალი „სმირნა“ და ამერიკული—„კონეულს“ დატვირთული ადერბეიჯანის ნავთის წარმოებისათვის საჭირო მასალებით.

— აჭარის სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის ორი თვის არსებობის შემდეგ კომისარიატის მიერ გატარებულია რეგისტრაციაში სულ 170 ინვალიდი. აქედან 62 უკვე გაიგზავნა სხვა და სხვა ქალაქებში. აპრილში გატარდა რეგისტრაციაში 118 ინვალიდი. ამ მოკლე ხანში შეკეთდება ორი შენობა ინვალიდებისათვის. განზრახულია „ბარაკის“ მოწყობა 100 კაცისათვის.

— საბჭოთა დაწესებულებებში შტატების შემოკლებამ მოგვცა შემდეგი შედეგი: აჭარის ცაკაში 12 კაცის მაგიერ დარჩა 8 მოსამსახურე. სახ. კომისართა საბჭოს მოსამსახურეთა შტატი დარჩა უცვლელად, შინ. საქ. კომისარიატში დარჩა 46 კაცი 63 მაგიერ, სახ. სას. კომისარიატში—10 კაცი (წინეთ იყო 16).

— აჭარის სახ. კომ. საბჭოს დადგენილების თანახმად ახლო მომავალში გატარდება მუნიციპალიზაციაში სახლები ბეგებისა და აღების. პირველ რიგში განზრახულია მუნიციპალიზაცია ეყოს 11 სახლს.

— საქართველოს სახ. კომ. საბჭოს დეპეშის თანახმად, აჭარის-შინაგან საქ. კომისარიატმა შესწყვიტა ლტოლვილთა ევაკუაცია ბათომიდან აფხაზეთში.

— გაიგზავნა სამსახურის ადგილზე ჯარში ახლად გაწვეულ ახალგაზდათა უკანასკნელი პარტია. მობილიზაცია ბრწყინვალედ ჩატარდა.

— ა. | კ. ფოსტა-ტელ. სახ. კომისარიატმა თხოვნით მიმართა აჭარის ცაკს ბათომში შესაფერ ადგილის დასათმობად მისაღებ-გადასაცემ ტელეგრაფ-ტელეფონის რადიო სადგურის მოწყობისათვის.

—

**ცხინვალი.** ავტონომიურ სამხრეთ - ოსეთის პროფკავშირების საოლქო კონფერენციამ დაადგინა: გამოერიცხოს წევრებს ერთი დღის ჯამაგირი არაზინდაში სანატორიის მოწყობის მიზნისათვის და სამი პროცენტი თვიურ ჯამაგირიდან რურის მუშების სასარგებლოდ. ამას გარდა პროფკავშირთა

---

ოსებსა, სიტურფე ართო (მიართო, მისცა, შესძინა) თვალი მსგავსი მისა (ე. ი. თამარის სილამაზის მსგავსი). და მემატიანეც აქებს სოსლანს სილამაზისთვის, ამბობს (ქ. ცხ. გვ. 292): დავითი „ფრიად მშვენიერი“, მოყმე ნაკვთად კარგი, ბებ-პრტყელი, პირად ტურფა და ტანად ზომიერი, ზრდილობით კეთილად ზრდილი და წვრთილი, მხნე და ძლიერი, რაინდობითა და მშვილდოსნობითა უსწორო შემმართებელი ტანითა ახოვანი. დასხდენ ტახტსა (თამარ და დავითი) ორნი მნათობნი, ორნი მზენი“.

შავთ. 15: „...როსტომ ვერ ვცან, სწორავს თუ რათა“. იმავ როსტომად „თამარიანშიც“ დასახულია დავით სოსლანი. (იხ. ხანა 11).

შავთ. 34: „აბჯარ-ხმალითა, ვეფხვებრ მკრჩხალითა“. ესეთი იყო სოსლანის სიმტე ავთანდილიც. შოთა 1020; „ჩაიცვა ტანთა აბჯარი ქცევათა ვეფხვებრ მკრჩხალითა“. „თამარიანი“ (96) იგია „ვეფხვებრ მხტომი“, „სახედ მეხის-ტეხის“ დამცემი (ქ. ც. 199), „ეტლითა მსწრაფლ მომხვეტლითა აგარის ტომთა“ (თამარ. 83).

6. აბდულ-მესიჲ (მონა მესიისა) არის ქართული სახელი დ. აღმაშენებლისა, რომელიც თავის ფულაბზედაც იწოდებოდა ქრისტეს მახვილად და სომეხი იოანე დიაკონიც მიესალმებოდა ხოლმე მას სიტყვებით „მონა ქრისტესი“ (იქვე 24—25).

შეად.: შავთ 66: „ეს მოგვანიჭა (ღმერთმა) ქრისტეს მიერად“, ეს: „ქრისტესთვის მოხევი თვისთა ოფლისა“.

„თამარ.“ 113: მისცნა (ღმერთმა თამარს დავალნი არსთა მიერსა... მონა ხმიერსა“, 83: დავით სოსლანი „შემწედ მესიას“.

ფულზედ: „თამარ შემდეგი მესიისა“.

ქიაბრის სიგელი: „...მე პატრონთა ღუთისა სწორთა (თამარის) ბრძანებითა და კითხვითა მიქმნია“.

ქ. ცხ. 324: ღმერთმა თამარს „დასდვა წელთა მახვილი ძლიერებისა“, 278: შესახა (თამარმა) სფერო მიწიერი ცისა მნათობთა სფეროსანთა, რომელი არიან კრონოს, ზევს, ავროდიტე, აპოლონ, ერმი, ირაკლი და არეა... ესრეთ აღებარმა ზენასა მნათსა ქვენა ესე მნათი გინათუ შვენებითა უცხოთა და უსახოთა, გინათუ სიბრძნითა და მეცნიერებათ მპყრობლობითა ანუ თუ მზეებრ უხვებითა მიფენად სწორებით მართალთა და ცოდვილთა, 338: „განიგებნე ყოველნე მატიანენი ძველთა განა ახალთა მეფეთა მაქებელნი, რამე თუ გარდაემატა თამარის საქმეთა ჰეშმარიტებით საქებლობა პირველთასა“.

7. აღმაშენებელს აქებს მგოსანი ისრის სხივის ხელოვნებისთვის და მიტომ. ადარებს მას მერკვარის (გვ. 21).

ეს მეისრეობაც მხოლოთ დავით სოსლანის თვისებაა. სწორეთ ამ ისრის სრევაში დახელოვნებისთვის შეადარებენ მას ბიბლიურ განთქმულ ეფრემს (ზაქ. 9—13, ფს. 77—9) შეად. ქ-ცხ. 310: დავით ძეებრ ეფრემის მოისარმან. თამარ. 8: ისრის ისარსა, ვიტყვი, ის არსა ეფრემის ძირთა აღმორჩებულად“. 75: „ეფრემის ძირთა ისართა მთლელი“.

7. მე-105 ხანაში მგოსანი თვით გმირის ასოებს ეკიდება თანაგრძნობით როგორც წმიდა ნაწილებს, ამბობს: Блаженна в твоих глазах „Эллада“, именно тот Гелат, где схоронят (твои) святыя мощи“ (იქვე გვ. 17).

იმ 105 ხანაში-კი არავითარი „мощи“ არ არის, არამედ ასეა: „ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა, სად რომ დაკრძალვენ წმიდათ სხეულთა“. აქ „წმიდათ სხეულთა“ ნიშნავს არა წმ. ნაწილებს, არამედ წმინდანების (ე. ი. მეფეების) სხეულებს, რომელთაც დაკრძალავენო გელათში.

8. „ოდის“ მწერლის გამოსახულობაში გმირი, მზე (?!), ხის შავს ტაიჭზე..., თამარის ქმარიც ცხენი-კი იყო ზერდაგი (იქვე 23).

ესეც არას ამტკიცებს. საბას განმარტებით, ზერდაგი ნიშნავს ყვითელ შავს. მაგრამ ამასაც რომ თავი გავანებოთ, რომ აღმაშენებელი მთელი თავის 26 წლის მეფობის განძავლობაში იჯდა შავს ტაიჭზე, ხოლო ცხენი, როგორც ბრემშია*), ოცი წლისა უკვე ბერდება და სამხედრო-კი უფრო ადრე ძაბუნდება. მაშასადამე, განა შეუძლებელია, რომ სოსლანს ერთხანს ჰყოლოდა საჯდომად ზერდაგი და სხვა დროს შავი ტაიჭი? თვით აღმაშენებელს მარტო ერთ ბრძოლაში გამოუკლეს სამი ცხენი და „მეოთხესა-ღა ზედა მჯდომმან სრულ ჰყო ამის დღისა ომი“ (ქ. ცხ. 243). რა თავდებობა გვაქვს, რომ შავი თელის ნაჩვენები დავითის „შავი ტაიჭიც“ არ დაიღუპა რომელიმე ბრძოლაში და გასძლო იმ დავითის სიკვდილამდე!

9. „ოდაში“ იქების ერთი პირი—საქართველოს მეფე დავითი—ქრისტეს მონად ანუ მხედრად. შესხმის ავტორის შავთელის-მიერ შექებული გმირი, ეჭვს გარეშე, არის დავით აღმაშენებელი (გვ. 27). პოემა, რომელსაც განვიხილავთ, სულ მთლიანად არის დიდება ერთის პირისა (გვ. 9).

პირიქით, სწორეთ ამ თხზულებაში შექებულია ორი პირი, ორი გმირი, თამარი და მისი ქმარი დავითი. აი ამის საბუთები შავთელიდან.

ა. ავტორი თავის „აბდულმესიონში“ სახელით იხსენიებს ცალკე დავითს (1, 6, 11) და ცალკე თამარს (2, 53). ხოლო ხანაში 47 შავთელი თამარს იხსენიებს მის-მიერ დამსახურებულ ეპიტეტით „სამგზის-ნეტარი“. შეად.: თამარ სამგზის სანატრელი (ქ. ცხ. 283; მარ-დედ. ნუსხა 363).

ხანაში 62 ავტორი აცხადებს ამ ორ გმირის ურთიერთობასაც სიტყვებით: „გვრიტთა მართვისა თვარ აქვთ მართ ვისა თქვენებრ სურვილი მეუღლობისა“.

დავით აღმაშენებელს, როგორც თვითონვე მოწმობს თავის საგალობელში (ქრონ. 2—105), ასეთი „გვრიტთა მართვისა მეუღლეობა“-კი არ ჰქონდა, არამედ „მძლავრობით შეეგინებინა თვისი საწოლი“ და თავისი ცოლი გაეგდო.

ბ. მესხმის **ერთი** გმირი „ლომია“ (21, მტრებზე დამცემი მეხებრ, გრიგალ-ქარულად (28), წარმართა ერთა შემრისხველი ლომი დავითი (29) დროშას მოიგდებს, მტრებს დახოცავს აოხრებითა (75, ჰკლავს, ჰკაფავს, ჰქლეტავს უწყალოდ, სრესავს, აგლახავებს (11, 30, 32), **მეორე** გმირი-კი „კაცთა მკოდვისა და მამკოდვისა შეიწროებისა არ მომთმინოა“ (59), „ყოველთ ყოველითურთ ბიწ-შეუხებლად სიწმიდის ბრძედი (42), „მეწდე სიტყვითა სიმართლისათა“ (47). ეს სულ თამარ მეფის დახასიათებაა. შეად. ქ. ცხ. 283:

თამარმა „იხმია ესე-ვითარი სიბრძნე და მეცნიერება და სიმშვიდე გონებისა, ვიდრემდის ამისსა განგებასა შინა და ცხოვრებასსა ამისსა არცა თუ ტანჯვანაგი (მათრახი) უბრძანა ვისდამი დაკვრად: რამე თუ შორს იყო ყოვლისა მესისხლეობისა, თვალთა დაბნელებისა და ასოთა მოღებისა, არამედ აქ უნდა ნება შიშობა და ზარიც დამდებილი, რომლითა უძრწოდა შიშნეულად ყოველი საბრძანებელი მისი. მშვიდ იყო და მყუდრო და მშვიდობისა მყოფელი“.

ასევეა შავთელშიაც. თამარი „ფშვის და სუნნელობს, თვით მომცემლობს ჩვენდა სიბრძნესა... კაცსა შერისხდა, ნამდვილვე მიჰხედა მათ სალმობანი სიკვდილისანი“! ხანა 23).

აღმაშენებელი-კი არ იყო კაცთა „მამკოდვის არ მომთმინო“, იგი, როგორც იუწყება მისი მემატიანე (ქ. ცხ. 242), „სვრიდა და დასცემდა წინადამთხვეულთა ყოველთა“, ისე, რომ პერანგზე შესყინებოდა ხოლმე „მტკნარი სისხლი“ მის-მიერ დახოცილ კაცთა (იქვე, 243), და არც იყო იგი „მშვიდობის მყოფელი“, ვინაიდგან ამ მხრივ მას მრავალი მომდურავი ჰყვანდა და უსაყვედურებდენ: „შეიყვარნის ვინმე და განადიდნის ვინმეო და კვალად მოიძულნის ვინმეო და დაამცირისო, ესე აღამაღლის და ესე დაამდაბლისო. ერიაო უსამართლობისა (იქვე 260).

შავთელის გმირი კი (თამარი), როგორც აღვნიშნეთ, იყო „მეწდე სიტყვათა სიმართლისათა“ (44) და ამიტომ „სამართალმანცა ზენამან უბჭო მართალსა“ (თამარს), რომელიც „მეორე სოლომონ იქმნა მეფის შორის, ხოლო სჯულისათვის მეორე კოსტანტინე და სამეფოს განაგებდა ვითარ ბოჭბერკიდა სული“ (ქ. ცხ. 279, 337). შავთელითაც (42) თამარს „წმიდად აქვს სული დასთა დასული“.

გ. დავითი ხომ „ლომია“, გმირია და „მზე“, რომელიც თვისის სხივებით სჩრდილავსო მნათობებს, რომელს „მზერითა სწორავსო მზე რითა?“ მზეს ბრწყინვალება მისგან ეძლევა (58), ინახის ვით მზე სამყაროს მანათობელი (45), ეთერ ბრწყინვალე მზეებრ სადარი (3). შეად.:

ქ. ცხ. 277: იღსევე საყდართა ზედა სამეფოთა (თამარი)
მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა
ელვარება და მზეებრ მაშუქმებელი სხივ
—კამკამებათა“.

„295: „თამარი მზეთა-მზე და ნათელთა ნათელი“.

„თამარიანი“ 24: „თამარი მზე მცინარი“, 45: „ფერით ამო მზე“.

შოთაც მზეთა მზეობას ქალთა ეპიტეტად სთვლის, ხოლო ლომობას ანუ ლომთა ლომობას ვაჟისას. ტარიელი მიჰმართავს თინათინს სიტყვებით (ხ. 1518): „შენ (თინათინ) დაჯე, მე (ტარიელმა) ლომთა ლომი (ავთანდილი) დაგისვა გვერდსა მზეთა მზეთასა“.

ხალხურ ლექსშიაც მზე ჩაგდებულია დედათ სქესისად: „მე (მთვარე) ძმა ვარ, ის მზე) და არის“.

დ. ხანებში 105—106 ავტორი სწერს:

„ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა, სად რომ დაჰკრძალვენ წმინდათ სხეულთა... ვფიცავ მე მაღლით, რომ თქვენის **გაყრით მკლებოდეს ჟამხა დღეთა ჩემთასა**“.

ეს უკანასკნელი სიტყვები ქართველი კაცის პირში მისამძიმრების სიტყვებია. აქ ავტორი, ჩვენის ფიქრით, მიუსამძიმრებს თამარს დავითის გარდაცვლას (1210 წ.) და გელათში დამარხვის—გამო. უკანასკნელ ხანაში (108) იგივე ავტორი კვლავ მიჰმართავს თავის ქმარს, მაგრამ ცოცხალს, სიტყვებით: „თუმცა თქვენ ბრვგნილია. უნდო, უხმართა ენათა—მიერ შესხმად ვერ უძლეთ, თქვენ სცვალეთ ბნელი, წყვდიადი ბნელი მზედ ნათლად ცხოვლად და განათლეთ, განმართეთ ცუდნი. სიტყვანი ბრუდნი კეთილად ასცვალეთ და განამართლეთ“. ერთის მხრით „თქვენის გაყრით“ „ჟამთა ჩემთასა“ დაკლება და, მეორეს მხრით, „თქვენ შესხმად ვერ ვუძლეთ“ სათანადოდ, „თქვენ სცვალეთ ცუდნი, სიტყვითა—ბრუნი“!

**მ. ჯანაშვილი**

(შემდეგი იქნება)

*) ბრემმ. „პირუტყვთა ცხოვრება“. ტ. I, გვ. 574.

წევრებს მიეცა წინადადება სურვილისამებრ წვლილის შემოტანისა.

**ახალქალაქი.** მაისის 3—4 მდ. მტკვარი ადიდდა. დანგრეულია ხერტვისის ხიდი. გზებიც აქა-იქ წყლით დაიფარა. მთავრობამ გაგზავნა ტეხნიკოსები განადგურება-დაზიანების შემდეგი განმეორების წინააღმდეგ ზომების მისაღებად და დანგრეულთა აღსადგენად.

**ხოხუმი.** 1901 წელს დაბადებულთა ჯარში გაწვევა წარმატებით მიმდინარეობს. სოფლებიდან მოდის ახალგაზრდათა ჯგუფები წითელ დროშებით და რევოლიუციონური სიმღერებით.

## პარტიაში

ოთხშაბათს, 9 მაისს საღამოს 7 საათზე პარტიის მთავარ კლუბში (ლორის მელიქოვის ქ., № 1) დანიშნულია მეორე რაიონში (კუკია—ჩუღურეთში) მცხოვრებ ამხანაგთა საზოგადო კრება. **დასწრება ყველასათვის ხავბლდებულოა.**

„1923“ წლის 29 აპრილს ქ. სენაკში შესდგა სენაკის სამაზრო კომიტეტის გაფართოებული სხდომა. სხდომას დაესწრენ ს. ისულის, ძონძირის, ნოსირის, აბაშის და სენაკის ორგანიზაციის წარმომადგენლები, დღის წეს-რიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) პირველი მაისის დღესასწაული. 2) პარტ-მუშაობა მაზრაში. 3) მოხსენებანი ადგილებიდან, 4) სამაზრო კონფერენციის მოწვევა და სხ. პირველ მაისის მნიშვნელობის შესახებ მოკლე მოხსენების შემდეგ საძაზრკომმა დაადგინა: მიღებულ იქნას აქტიური მონაწილეობა პირველ მაისის დღესასწაულში. მიტინგებზე გამოსასვლელად გაიგზავნენ ამხანაგები: სხ. სენაკში—ამხ. გრიშა ხოფერია. ძველ სენაკში ამხ. სისოადია. აბაშაში ამხ. ნადარეიშვილი. ნოსირში ამხ. ლ. ხოფერიას ასული და ბაბინაშვილი პარტ-მუშაობის შესახებ მოხსენებაში გამოირკვა, რომ მუშაობა სწარმოებს, მხოლოდ საჭიროა უფრო მეტი ყურადღება. სამაზრკომი კმაყოფილია მთავარ კომიტეტის, რომელმაც გამგზავნა მაზრაში სამუშაოდ ამხ. გ. მუშიშვილი.

ამხ. ჩამოსვლით მდგომარეობა გაუმჯობესდა. ამხ. მუშიშვილმა შემოიარა ყველა ორგანიზაციები და წაიკითხა მოხსენებები, როგორც პარტიულ წრეებში, ისე საზოგადო წარმომადგენლების მოხსენებებიდან სჩანს, რომ პარტორგანიზაციების განვითარების საქმე მკვიდრ საფუძველს ეყრდნობა. ყველაზე სანიმუშო ორგანიზაცია ისული ორგანიზაციაა. არ არის ცუდი არც დანარჩენ ორგანიზაციების მდგომარეობა. სამაზრო კონფერენციის მოწვევა აუცილებელ საჭიროებად იქნა ცნობილი.

სამაზრკომმა დაადგინა კონფერენციის მოწვევა ქ სენაკში ივლისის პირველ რიცხვებისათვის. შემუშავებულ იქმნას კონფერენციის წეს-რიგი, რომელიც დაეგზავნება პარტორგანიზაციებს და აგრეთვე ცენტრალურ კომიტეტს პარტორგან გამოსაცხადებლად.

დასასრულ გაირჩა საორგანიზაციო ხასიათის საკითხები. აგრეთვე მოსმენილ იქმნა საინფორმაციო განცხადება ადგილობრივ სამაზრო აღმასკომის ორგანო „კომუნა“-ს შესახებ. სამაზრკომმა ხაზი გაუსვა იმას, რომ გაზეთს დიდი მნიშვნელობა აქვს და მას შეუძლია პრაქტიკული შედეგების მიცემა მშრომელ მასის პოლიტგანვითარების და დაწინაურების საქმისათვის. ამიტომ საჭიროდ იქმნა ცნობილი მასში პარტიულ ამხანაგების ლიტერატურული თანამშრომლობა (პირველ ნომერში უკვე დაიბეჭდა ამხ. გ. მუშიშვილის წერილი რომელიც სახელმძღვანელოდ მიეცა პირველ მაისის მიტინგზე გამომსვლელ ამხანაგებს) აგრეთვე სამაზრკომმა დაადგინა გაზ. „ტრიბუნას“ ანგარიშების გასწორება სულ მოკლე ხანში. ამხანაგებს მიეცა მკაცრი წინადადება ხვედრ ფულის შემოსატანად პარტკომში.

**მახწ. ლუსიკო ხოფერიას ასული.**

## ხელოვნება

**სახელმწიფო 1-ლი კონსერვატორია.**

კვირას 29 აპრილს, 1-ლ სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში დღისით შესდგა მეტად საინტერესო სიმფონიური კონცერტი. ამავე კონსერვატორიის მოწაფეთა მონაწილეობით ზ. ფალიაშვილის ლოტბარობით, რამაც მოიზიდა აუარებელი საზოგადოება, ასე რომ დარბაზში ტევა აღარ იყო. და აგრეთვე გაჭედილი იყო მეორე სართულის აივანიც. კონცერტის პროგრამა საინტერესოდ იყო შედგენილი. სიმფონიური ორკესტრი შესდგებოდა 50 კაცისაგან, რომელთა შემადგენლობაშიც შედიოდნენ როგორც კონსერვატორიის მოწაფენი, აგრეთვე სახელმწიფო ოპერის მემუსიკენიც პირველ განყოფილებაში.

1. ორკესტრმა ზ. ფალიაშვილის ლოტბარობით შეასრულა რიმსკი—კორსაკოვის უვერტიურა, „ბრწყინვალე დღესასწაული“ რომელშიაც მოცემულია ლამაზ მუსიკალურ ფორმებში სარწმუნოებრივი ექსტაზი და საგალობელთა მელოდიები, რომელიც დიდის ხელოვნებით არის დაწერილი. ორკესტრმა დიდის ერთსულოვანობით და გრძნობით შეასრულა, რამაც აღტაცებული ტაში გამოიწვია საზოგადოებაში.

2. მოწაფე ქალმა კალიშევსკიმ იმღერა არია ოპერა „სერვილია„ ლან. კალიშევსკის სიმღერა სუსტი იყო.

3. პროფესორ ვილშაუს კლასის მოწაფე ქალმა მაქსიმოვამ სკრიპკაზედ დაუკრა სენ-სანსის „Havanise“. ტეხნიკა კარგი აქვს, თუმცა გრძნობა აკლდა.

4. ორკესტრმა შეასრულა კონსერვატორიის პროფესორის აისბერგის ნაწარმოები „მეჟ პადვოლნიხ სტებლეი“. პოემა ორკესტრისათვის რომელსაც ჩართული აქვს სასიმღერო ნომერიც. სიმღერა შეასრულა ორკესტრთან ერთად პრ. ზელონის კლასის მოწაფე ქალმა ალეინიკოვმა, და უნდა ითქვას ქალის სასახელოდ, რომ მას კარგი სასიამოვნო ხმა აქვს, კარგად დამუშავებული და კარგი მომავალიც ექნება. საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა, როგორც მომღერალი, აგრეთვე ავტორი. აისბერგი, რომელიც დარბაზში იმყოფებოდა.

5. შოპენის კონცერტი Fmoll-ის II და III ნაწილი შეასრულა პორტოპიანოზედ პროფ. კესსნერის კლასის მოწაფე ქალმა ციმიკმა. კონცერტი კარგად იყო შესრულებული, ციმიკს კარგათ განვითარებული ტეხნიკა აქვს, ბევრი ნაზი გრძნობა ჩააქსოვა დიდებული კომპოზიტორის ნაწარმოებს და დამსახურებული ტაშიც მიიღო საზოგადოებისაგან. იგი უსათოვოდ კარგი ხელოვანი იქნება მომავალში, ამით დასრულდა პირველი განყოფილება კონცერტისა.

მეორე განყოფილებაში, სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა ზ. ფალიაშვილის ახალი ორიგინალური ოპერა „დაისი“-დან ინტროდუქცია, ავტორის ლოტბარობით, რომელიც სალამურის ხმით იწყება და შემდეგ სხვა საკრავთა ხმა შეწყობით ვითარდება და გაჯადოვებთ მომხიბლავი ჰანგებით და მშობლიური მელოდიებით. ნაწარმოები უსათუოდ ნიჭიერი კომპოზიტორის ახალი გამარჯვებაა.

1. ნომრის დასრულებისას ზ. ფალიაშვილს მთელმა საზოგადოებამ მხურვალე ოვაციები გაუმართა, ორკესტრმა სამჯერ დაუკრა ტუში და მიართვეს ცოცხალი ყვავილების კალათი და სხვა, სურათი მეტად სასიამოვნო და ბევრის მთქმელი იყო.

2. პროფ. ლეინიკის კლასის მოწაფე სერგეევმა დაუკრა სკრიპკაზედ ჩაიკოვსკის კონცერტი D-dur-ის I ნაწილი. შესრულება დამაკმაყოფილებელი იყო.

3. პროფ. ჯაყელის კლასის მოწაფემ ქაშაკაშვილმა, მოწაფე ქალი. თოფურიასთან ერთად იმღერეს არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზედ“. ქაშაქაშვილს კარგად დამუშავებული სასიამოვნო ხმა აქვს და თავისუფლად მღერის. მასზედ წინადაც თქმულა მის სასარგებლოდ და ეხლაც აღვნიშნავთ, რომ კარგად იმღერა აბდულ არაბის არია გულჩინასთან. ცოტა არ იყოს მას უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა მისი პარტნიორი, თოფურია, რომელიც სუსტი იყო. შეიძლება ახალგაზრდა ქალზედ გაჭედილმა დარბაზმა იმოქმედა; უსათუოდ ნიჭიერი არის პროფ. მინიარის კლასის მოწაფე მალუნცევი, რომელიც წინადაც მოგვისმენია. მას დიდი მომავალი აქვს. დიდის ხელოვნებით შეასრულა სენ-სანსის კონცერტი A-moli ვიოლონჩელზედ. და დაატკბო საზოგადოება. მისი ინსტრუმენტის სიმნი უსათუოდ გრძნობდნენ ხელოვანის ხელის ძარღვს და სასიამოვნოდ ბგერდენ. კონცერტის გვირგვინი იყო უკვდავ ბეთხოვენის ფანტაზია. ფორტო-პიანო-ორკესტრისა და გუნდისათვის, რომელიც ისეთის ერთსულოვნებით შეასრულა ორკესტრმა კონსერვატორიის ქალ-ვაჟთა გუნდმა და ფორტოპიანოს დამკვრელმა ევტიევის ქალმა, რომელიც უკვე დასრულებული არტისტია, რომ დარბაზში დიდი აღფრთოვანება და ტაში გამოიწვია. ამ ნომრით დასრულდა ეს მოწაფეთა კონცერტი. რომელზედაც დავინახეთ ამ კონსერვატორიის მასწავლებელ პროფესორთა დაუღალავი შრომა და უნარი, მათდა სასახელოდ. კონცერტს აუარებელი საზოგადოება დაესწრო ეროვნების განურჩევლად. და ნასიამოვნები დაიშალა ნაშუადღევის 4 საათზედ. სასურველია ეს კონცერტი გაიმეორონ დიდ თეატრში.

**გ. ბუთ—ლი.**

### წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ადგილი დაუთმოთ ჩემს შემდეგ განცხადებას:

1914 წ. ვმუშაობდი საქ. სოც.-ფედერალისტთა პარტიაში, მაგრამ საბჭოთა წესწყობილების დამყარებისა საქართველოში არ მქონია საშუალება მემუშავნა პარტიაში—სხვა და სხვა ოჯახური მიზეზების გამო. დღეს, დარწმუნებული მასში, რომ საქართველოს მემარცხენე ს.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია არის [illegible] სალი დამცველი, მაქვს სურვილი ვიმუშაო ხსენებულ პარტიაში მთელი ჩემი [illegible] მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

**შალვა იაშვილი.**

მე ვეკუთვნოდი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას, როდესაც ეს პარტია ორად გაიყო, არც ერთ ფრთას არ მივკედლებივარ ოფიციალურად; ისე კი თანაუგრძნობდი მემარცხენე ფრთას.

ვიზიარებ რა სავსებით მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიის პლატფორმას, მსურს გავხდე მისი წევრი.

**მარო პეტრე გვიჩიას ასული პატარაია.**

### შეცდომის გასწორება.

„ტრიბუნა“-ს კვირის ნომერში (462) წერილში ჩემი ფოთლები: შეცდომით

| დაბეჭდილია: | | უნდა იყოს: |
|---|---|---|
| შუშ-არტანლები | — | შავშ-არტანელებ |
| ნექტორი | — | ნესტორი. |
| ჩვენ დღეთა | — | ჩვენს შავ დღეთა |
| იქ, რადგანაც | — | იქ, საიდგანაც. |
| გილი | — | გული. |
| მღაღადების | — | მღაღადებელს. |
| სამკაული | — | სამკალი. |

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.


ზემო-ავჭალის
ჰიდრო-ელექტრიული სადგური
ამშენებელი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ
1923 წლის მაისის 13-ს დანიშნულია შეჯიბრება

**2,5 საჟენის სიგანის და 34,23 საჟ. სიგრძის ბეტონის მილის ასაშენებელ სამუშაოს იჯარით გასაცემათ;**

მილი გაყვანილ უნდა იქნეს ფაციანთ-ხევის ხრამზე სულ 200 კუბ. საჟ. ბეტონით, ზემო-ავჭალის ელექტრ. სადგურის ამშენებელი კომიტეტის მასალებიდან და მილს ზევით უნდა იქნეს დაყრილი არხიდან ამაღლებული მიწა.

იმ პირთ, ვისაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუშაო, უნდა წარადგინონ ამის შესახებ წერილობითი განცხადება დაბეჭდილ კონვერტებზე ზედწარწერით: „ზაგეს“-ის სამუშაოების უფროსს 1923 წლ. მაისის 12-ის შეჯიბრებისათვის ფაციანთ-ხევის ხრამზე ბეტონის მილის ასაშენებლათ.

განცხადების შეტანის უკანასკნელი ვადა არის 1923 წ. მაისის 12-ს, დღის 12 საათზე, რომელ რიცხვშიდაც მოხდება პაკეტების გახსნა. ფასები განცხადებული უნდა იქნეს ოქროს მანეთებში; ანგარიშის გასწორება მოხდება ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით გასასწორებელი კვიტანციის შედგენის დღის კურსით და თანახმად ტფილისის ბირჟის ცნობებისა.

განცხადებას თან უნდა დაერთოს კვიტანცია ზაგესის სალაროში საიჯარო თანხის 10 პროცენტის შეტანის შესახებ. საწინდარი დაუყონებლივ დაუბრუნდება იმ პირთ, რომელთაც არ შიეცემათ იჯარა, შეჯიბრების შედეგების გამორკვევისთანავე.

დაწვრილებითი პირობებისა და ნახაზების ნახვა შეიძლება „კომზაგესში“ (ქალ. ტფილისი, ველიამინოვის ქ. № 3).
3—3


სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს
სავალდებულო დადგენილება № 27.

**1923 წლის 2 მაისი.**

**საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფარგლებში იმ საალმშენებლო არტელების, კანტორების, მოიჯარადრეების და სხვ. რეგისტრაციის შესახებ, რომლებიც საალმშენებლო მუშაობას ეწევიან,**

1. ყველა იმ საალმშენებლო წარმოებების სწორად აღნიშვნის მიზნით, რომლებიც საალმშენებლო მუშაობას ახდენენ და აგრეთვე საალმშენებლო პროლეტარიატის ბოროტი ექსპლოატაციისათვის ბოლოს მოსაღებად, საქართველოს **სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო** წინადადებას აძლევს ყველა საალმშენებლო არტელებს, კერძო ტეხნიკურ-საალმშენებლო კანტორებს და მოიჯარადრეებს, რომლებიც საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ფარგლებში საალმშენებლო მუშაობას ახდენენ, გამოცხადდენ ს. მ. უ. ს. ეკონომიურ განყოფილებაში **რეგისტრაციაში** გასატარებლად **არა უგვიანეს 1923 წლის პირველი ივნისისა.**

**შენიშვნა:** ზემოთ აღნიშნული საალმშენებლო წარმოებანი, რომლებიც მუშაობას ახდენენ ქ. ტფილისში ან მის ახლო ადგილებში, რეგისტრაციაში ტარდებიან ს. მ. უ. ს. ეკონომიურ განყოფილებაში, ისინი კი,—რომლებიც მუშაობას ახდენენ რესპუბლიკის სხვა ადგილებში,—სათანადო კომუნალურ განყოფილებებში.

2. რეგისტრაციის დროს საჭიროა წარმოდგენა 2 ცალად: 1) არტელის წესდებისა იმ დაწესებულების ნებართვით, რომლებმაც დაამტკიცეს წესდება, 2) პირადობის მოწმობისა კერძო მწარმოებლის ან მოიჯარადრისა, 3) არტელის წევრების და გამგეობის წევრების შემადგენლობის სიისა.

3. საალმშენებლო მუშაობის იჯარით ან იჯარის გარეშე გაცემა საალმშენებლო დაწესებულებების მიერ უნდა ხდებოდეს საალმშენებლო მუშების კავშირის მონაწილეობით, რისთვისაც ყველა ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო, რომლებიც სცემენ საალმშენებლო სამუშაოს, ვალდებული არიან წინდაწინვე აცნობონ კავშირს მუშაობის ხასიათის, გაცემის პირობების, შეჯიბრების დროს და ადგილის შესახებ.

4. **ეკრძალება** ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს გასცენ საალმშენებლო მუშაობა იმ არტელებზე, კანტორებზე, მოიჯარადრეებზე და სხვა, რომლებიც არ გატარებულან რეგისტრაციაში ს. მ. უ. ს. ეკონომიურ განყოფილებაში და არა აქვთ სათანადო მოწმობები. იმ დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც ახდენენ საალმშენებლო მუშაობას და ასეთები უკვე მისცეს კერძო კანტორებს, არტელებსა და მოიჯარადრეებს, მოვალენი არიან ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ ცნობები: ტფილისში ს. მ. უ. ს. ეკონომიურ განყოფილებას, პროვინციაში კი—ამ დადგენილების პირველ მუხლთან დართული შენიშვნის მიხედვით,—მუშაობის ადგილის და ხასიათის შესახებ, იმ პირის ან დაწესებულების სახელის აღნიშვნით, რომელსაც მიეცა სამუშაო.

5. ის პირნი და დაწესებულებანი, რომლებიც არ შეასრულებენ ამ დადგენილებას, დაჯარიმებული იქნებიან 100 მ. ოქროთი, გარდა ამისა კერძო კანტორებსა და მოიჯარადრეებს წაერთმევა მომავალში მუშაობის წარმოების უფლება.

6. ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა.

ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე: **აგაქოვი.**
ს. პ. კ. ს. მდივანი **ყურულაშვილი.**
ს. მ. უ. ს. საქმეთა მმართველი: **ხვიმონიშვილი.**

ტირაჟი 900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 258 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2.